




# ხაშურის ძოაძბე



## ხელისუფლების ხალხთან ღბომის მბბბლი

სიმართლე გითხრათ, უახლესი ისტორიიდან, არც კი მახსენდება სხვა შემთხვევა, როდესაც ხელისუფლება ხალხის გასაჭირზე ასე უსწრაფესად რეაგირებდეს. ისე ვართ შეჩვეული გაწეილ ბიუროკრატიულ ლაბირინთებს, სადაც გზის გაკვლევისას, თავგზა აებნევა კაცს, რომ, რა დასამალია და, შინაგანად ახლაც ამისკენ გამიბრბოდა

შკაცრი ზამთარი დიდ საფრთხეს შეუქმნიდა, საფუძველი აღარ აქვს. გიორგი ჰაპიაძე, მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის განვითარებისა და კეთილმოწყობის განყოფილების უფროსი: დაზიანებული ხუთი კორპუსიდან ხუთივეზე მიმდინარეობს სამუშაოები და უახლოეს დღეებში დასრულდება. შეკეთებულია IV საბავშვო ბაღის სახურავი. მთავრობის განკარგულებით, პირდაპირ შესყიდვებით ვახორციელებთ სამუშაოებს. ახალშენში მცხოვრებ ეთერ ხარებაშვილს სტიქიამ მთლი-



ფიქრი. საბედნიეროდ, სრულიად საპირისპიროდ მოხდა ყველაფერი. წყალდიდობამ და გრივალმა თავისი მსახვრალი ხელი დაატყო ჩვენს რაიონს. ზარალი მართლაც დიდი იყო და ჩვენი მკითხველისთვის ეს ცნობილია. ხელისუფლების რეაგირება კი, როგორც ადგილობრივი, ისე ცენტრალურ დონეზე – მყისიერი, ფაქტობრივად, წყალდიდობიდან მეთრე დრესეე გამონახული იყო სახსრები მოსახლეობის დასახმარებლად. მოგეხსენებათ, ფინანსური წელი მთავრდება და მილიონამდე ღარის გამოყოფა ბიუჯეტისთვის არ იყო იოლი საქმე. თუმცა, ეს სრულებითაც არ იქცა შემაფრხებელ ფაქტორად და ხელისუფლება ხალხის გვერდით დადგა. მიზნობრივი ტრანსფერი – 750 ათასი ღარი მუნიციპალიტეტის საკრებულომ უკვე ასახა ბიუჯეტში. ამას დაემატა ადგილობრივი ძა-

ანად დაუნგრია ბინა, სოციალურად დაუცველი ოჯახია და ვუშენებთ სახლს. თუმცა, ამ შემთხვევაში, არ იფიქროთ, რომ სოციალურად დაუცველობა უპირატესობას წარმოადგენს. ხელისუფლება ყველა დაზარალებულს გვერდში უდგას. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია დაზიანების ხარისხი და მასშტაბი. ვისაც სახურავი მთლიანად ან ნაწილობრივ აეხადა, მიგვაქვს მასალა, მიგვყავს მუშა-ხელი და ვუხურავთ სახურავებს. საკმაოდ სერიოზული სამუშაოები ჩავატარეთ ამ კუთხით...

**გ. ბსიძე**, დაზარალებული: ვერც წარმოვიდგენდი, რომ მხელისუფლება ასე უსწრაფესად გაითვალისწინებდა ჩვენს გასაჭირს. თითქმის უიმედო მდგომარეობაში ვიყავი, რადგან საამისო სახსრებს, პრაქტიკულად, ვერ მოვიძიებდი. დღეს უკვე აღარ მეშინია ზამთრის, რადგან ჩემი სახლის სახურავს უკვე პირვანდელი სახე აქვს. მადლობა ჩვენი მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებს, რომლებიც მთელი ამ დღეების მანძილზე ჩვენს გვერდით იყვნენ და ყველაფერი გააკეთეს, რომ თავი უსაფრთხოდ გვეგრძნო... სტიქიამ უკან დაიხია, ჩვენ კი დავგრჩა იმის შესანიშნავი მაგალითი, თუ როგორ უნდა იქცოდეს ხელისუფლება, როდესაც მოსახლეობა გასაჭირშია.  
**გ. მარსაძე**



ლებით მობილიზებული სახსრები და განადგურებული ინფრასტრუქტურის აღდგენა მთელი შესაძლო ძალებით დაიწყო. თუმცა, რატომ დაიწყო ეს სამუშაოები უკვე დასასრულს უახლოვდება და დაზარალებულთა შიშს, რომ მოახლოებული

## ჯიფდ - ნაწმინებულ მოსწავლეებს

27 ნოემბერს, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ყოველწლიური პროექტის ფარგლებში, ქალაქ გორში ხაშურის 62 წარჩინებული მოსწავლე კომპიუტერებით დააჯილდოვეს. რაც მნიშვნელოვანი წარმატებაა ჩვენი ქალაქისათვის და დიდი სტიმული მოსწავლეებისათვის.

**ხ ვ ი ა დ გოგუაძე**: -საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში მოქმედებს პროგრამა წარჩინებული მოსწავლეების წახალისების შესახებ, რომელიც მათთვის კომპიუტერების გადაცემას ითვალისწინებს. ბენეფიციარები არიან X კლასის მოსწავლეები, რომლებმაც საბაზო საფეხურის VII, VIII და IX კლასები დაამთავრეს წარმატებით, რაც იმას ნიშნავს, რომ ყველა საგანში ამ სამი წლის მანძილზე ჰქონდათ 10 ქულა დამრგვალების გარეშე. შიდა ქართლის მასშტაბით სულ 178 მოსწავლე დაჯილდოვდა, აქედან გორის 99, ხაშურის 62, 8 ქარელის და 7 მოსწავლე კასპის მუნიციპალიტეტიდან იყვნენ. აღსანიშნავია, რომ ხაშურის მუნიციპალიტეტიდან პროცენტულად ყველაზე მეტმა მოსწავლემ მიიღო კომპიუტერი. ამ პროგრამაში მონაწილეობენ მხოლოდ საჯარო სკოლები. დაჯილდოება გაიმართა ქალაქ გორის III საჯარო სკოლაში. მოსწავლეებს კომპიუტერები გადასცა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ ღია გიგაურმა. სამი წლის სტატისტიკა ჩვენთვის ცნობილი, 2013 წელს შიდა ქართლის მასშტაბით 139 მოსწავლეს გადაეცა კომპიუტერი, 2014 წელს 152 მოსწავლეს. პროცენტული მაჩვენებლით, წელს ხაშურის მუნიციპალიტეტში ყველაზე მეტმა მოსწავლემ მიიღო კომპიუტერი. ხაშურის რესურსცენტრს დაქვემდებარებული სკოლებიდან ყველაზე მეტი მოსწავლე დაჯილდოვდა. მათ შორის ილია ჭავჭავაძის სახელობის III საჯარო სკოლიდან - 18 მოსწავლე, გალაქტიონ ტაბიძის სახელობის VI საჯარო სკოლიდან - 9 მოსწავლე. დანარჩენი 62 მოსწავლის რაოდენობა სხვადასხვა სკოლებზე გადანაწილდა: ხაშურის I, II, IV, VII, VIII, IX, სურამის I, II, IV, ასევე ოსიაურის და გომის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა გამოიჩინეს თავი. ეს პროგრამა მომავალ წელსაც გაგრძელდება და უკვე VII, VIII და IX კლასელებსაც ექნებათ შესაძლებლობა დამსახურებულად მიიღონ კომპიუტერები, მათი მონღომების წახალისებლად და დასაფასებლად.




## სახუქარი - ბავშვებს



შებლდული შსადლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ხაშურის მუნიციპალიტეტმა შშმ ბავშვების დღის მოვლის ცენტრის ბენეფიციარებს სიურპრიზი მოუწყო. ბავშვებს ესტუმრნენ მუნიციპალიტეტის გამგე-

ბელი გიორგი გურასპაშვილი, საკრებულოს თავმჯდომარე ვაჟა შუბითიძე და მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურის წარმომადგენლები. დღის ცენტრის ბენეფიციარებმა საჩუქრად ტიბიდეული მიიღეს. გარდა ამისა, ბავშვებს დღე გაუხალისეს ანიმატორებმა და საყვარელი მულტიპლიკაციური ფილმების გმირებმა.



### შემოწმდა ფიჭვნარის სანიტარული მდგომარეობა

ეროვნული სატყეო სააგენტოს ტყის მოვლა-აღდგენის დეპარტამენტის წარმომადგენლებმა გიორგი მამადაშვილმა და ზურაბ შოშიაშვილმა ხაშურის მუნიციპალიტეტში ზემო სერისა და კვირაცხოვლის მიმდებარე ფიჭვნარის



სანიტარული მდგომარეობა შეამოწმეს. დონისძიება სურამ-ხაშურის ეპარქიის მმართველის მეუფე სვიმეონის ინიციატივითა და ადგილობრივი ხელისუფლების მხარდაჭერით დაიგეგმა. სპეციალისტებმა აიღეს სინჯები, რომელსაც ლაბორატორიულად შეამოწმებენ. ვიზუალური შემოწმებით, არსებული მდგომარეობა



არ არის საგანგაშო. სატყეო დაზიანებები საფანტის კვალი აღმოჩნდა, მაგნიტა უფრო მეტად მოჭრილ ხეებზე შეინიშნება. ტყის განახლების პროცესი მიმდინარეობს, თუმცა ნერგები ვეღარ ასწრებს მოძლიერებას. სპეციალისტებმა რეკომენდაციებიც მისცეს თვითმმართველობის წარმომადგენლებს. სასურველია, ტყის გარკვეული მონაკვეთები შემოიღობოს შინაური ცხოველები-სგან ნერგების დაცვის მიზნით. კვლევის შედეგები მალე გახდება ცნობილი. მუნიციპალიტეტის თვითმმართველობა მადლობას უხდის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრს გიგლა აგულაშვილს ამ აქტუალურ საკითხზე დროული რეაგირებისათვის.

### პროექტი „გენდერული თანასწორობა ქალთა წინსვლისთვის“-ხაშურში

ასოციაცია „ქალი და განვითარების“ გამგეობის (თავმჯდომარე ფატი ბუხრიკიძე) წარმომადგენლები პროექტ „გენდერული თანასწორობა ქალთა წინსვლისთვის“ ფარგლებში ადგილობრივი ხელისუფლების, მედიისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს მრგვალ მაგიდასთან შეხვდნენ. გაიმართა დისკუსია. ასოციაციის წევრებმა ხელისუფლებას მათი თვალთ დანახული ადგილობრივი პრობლემები გაუზიარეს და თანამშრომლობა შესთავაზეს. შეხვედრას ესწრებოდნენ საკრებულოს თავმჯდომარე ვაჟა შუბითიძე და სხვა თანამდებობის პირები.



### შესვედრა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის აქტივობის განვითარებისათვის

2 დეკემბერს, საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციამ "მერსი ქორფსი", და მისმა პარტნიორმა ორგანიზაციამ "საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი ევროპის სამეზობლო პროგრამის ფარგლებში", რომლის მიზანია საქართველოში სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარება, მორიგი შეხვედრა გამართა ხაშურის მუნიციპალიტეტში არსებულ კოოპერატივების წარმომადგენლებთან. შეხვედრის ინიციატორი, ხაშურის მუნიციპალიტეტის, სოფლის მეურნეობის საინფორმაციო-საკონსულტაციო



სამსახური იყო, რომელიც ინტენსიურად ახდენს მსგავსი ტიპის შეხვედრებს მოსახლეობასთან, მათი ინფორმირებულობისათვის და ხელს უწყობს სოფლის მეურნეობაში ინოვაციების დანერგვას. ასეთი ურთიერთობები, სახელმწიფოს, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და კერძო თუ კოოპერატიულ მეურნეობებს, შესაძლებლობას აძლევს ერთობლივი ხედვით, ქვეყნისთვის სასარგებლო სასოფლო-სამეურნეო მოდელის შექმნამდე მივიდნენ, რაც სამომავლოდ ჩვენს ქვეყანაში არსებული ყველა რესურსის ჩართვას და გამოყენებას გულისხმობს. შეხვედრაზე კოოპერატივების წარმომადგენლებს მიეცათ საშუალება ესაუბრათ თუ რა წარმოადგენს მათ ძირითად პრობლემას, რა ტიპის დამატებით დახმარებას საჭიროებენ კოოპერატივის მიზანმიმართული და წარმატებული ფუნქციონირებისათვის. შეხვედრაზე ძირითადად მიწის დამუშავებისა და მექანიზაციის სიძვირეზე, ბანკებთან ურთიერთობებზე (რომლებიც არ გამოთქვამენ სურვილს კოოპერატივებს დაუმტკიცონ სესხი), სასაწყობო და სამაცივრე მეურნეობების სიმცირეზე, პროდუქციის რეალიზაციაზე და კვალიფიციური კადრების სიმცირეზე ისაუბრეს. საუბარი დისკუსიის რეჟიმში მიმდინარეობდა, რომლის საფუძველს, პრობლემების როგორც ადგილობრივ, ასევე სახელმწიფოებრივ დონეზე გადაწყვეტა წარმოადგენდა.

ჩემი მოსწავლეობა "ლამფის" მბუქტავ სინათლეზე გადაშლილი ყდამოცლილი, მრავალჯერგამოყენებული, შეფასების ფურცელზე რომ ახალია-აწერია ფიზიკის წიგნებით იწყება და ფანჯრის მაგივრად გაზეთ "კომუნისტ" გაკრულ გამოცარიელებულ ბიბლიოთეკამდე მიდის, სადაც მხოლოდ მარქსსა და ენგელს ჰქონდათ გამართული ისტორიული კომუნიზმის შესახებ საუბარი (სხვა წიგნები ბიბლიოთეკის თანამშრომლებს ავეჯის გასაფორმებლად ჰქონდათ სახლში წაღებუ-

სადაც ორი ქვეყნის მოქალაქები იღებენ და აზიარებენ პიროვნული თუ ქვეყნის ინტერესებს უკეთესი სამყაროს შესაქმნელად. ხაშურის ამერიკის კუთხის კოორდინატორი ქალბატონი ქეთი მეტრეველი, ყველა პირობას უქმნის მომხმარებლებს, რომ სასიამოვნო გარემოში, ახალი იდეებით და ხელშეწყობის პროგრამებით ისარგებლოს ყველა ასაკობრივმა კატეგორიამ. არსების მნიშვნელობაზე, პროგრამებზე და სხვა სახის სიახლეებზე, ქალბატონი ქეთი ისაუბრებს: **„ქაღაცოხნო ქეთი, ამერიკ-**

### 11 წლიანი ქართულ-ამერიკული ურთიერთობები

ლი). გზად ვინმეს სახელდახელო ოთხფიცრულ ჯიხურთან ნაყიდი თურქული "პიკნიკი" და არშემდგარი თაობა ასე, რუსულ-თურქულ შეგნება-ფიზიოლოგიით მოვედით საუკუნემდე, რომელშიც სინათლე-საც თავისი, სხვაგვარი გამომსახველობა აქვს. შეიცვალა პოლიტიკური მდგომარეობა, შეიცვალა მიდგომები, გადანაწილდა პრიორიტეტები. თერგდალეულობა და შემდგომ უკვე საბჭოური დოგმატიკა ამერიკულმა და ევროპულმა გამოცდილებებმა ჩაანაცვლა. განხდა მეტი შესაძლებლობები სახელმწიფოებრივი და მოქალაქეობრივი შეგნების ამაღლების. არშემდგარი თაობა მომავლის თაობის სტატუსით შეიცვალა. ჯერ კიდევ 11 წლის წინ, ხაშურში ამერიკის კუთხე დაარსდა. ამერიკის საელჩომ ხაშურელებს მისცა შესაძლებლობა სწავლის, განვითარების, სხვა ქვეყნის ფასულობების გაცნობა-გაცვლის. არაერთი პროგრამა და პროექტი განხორციელდა. ეს არის ადგილი ჯანმრთელი ურთიერთობების,

ის კუთხის დარსებაზე ვისაუბროთ, რომელსაც ხაშურში უკვე 11 წლიანი ისტორია აქვს...  
-ამერიკის კუთხე არის ამერიკის საელჩოს საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების ძალიან მნიშვნელოვანი პროგრამა. ეს არის თითქმის ყველა ქვეყანაში, სადაც კი ამერიკას დიპლომატიური ურთიერთობები აქვს და ერთგვარად სახალხო დიპლომატიის გამოყენების ფორმაა. ამერიკის კუთხის საშუალებით ამერიკის საელჩო ავრცელებს ინფორმაციას და ახორციელებს საგანმანათლებლო-კულტურულ პროგრამებს. ხაშურის ამერიკის კუთხე არის რიგით მეორე კუთხე, თელავის შემდეგ, რომელიც გაიხსნა 2004 წელს. გარდა ხაშურისა, საქართველოში 9 ამერიკის კუთხეა. ჩვენდა საამაყოდ, მინდა ვთქვა, რომ ერთ-ერთ წარმატებულ კუთხედ ითვლება იმ აქტივობებით, რომელიც ჩვენთან ხორციელდება და დიდი მხარდაჭერაც აქვს ამის გამო. ხა

(გაგრძელება III გვერდზე)

(დასასრული)

შურში ამერიკის საელჩოს პარტნიორი არის ბიბლიოთეკა. რადგან ბიბლიოთეკა არის ყველაზე საჯარო სივრცე, სადაც განურჩევლად რელიგიური, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულების ადამიანებს ყველას აქვს შესაძლებლობა გამოიყენოს მისი რესურსები.

**რითი იყო მნიშვნელოვანი ხაშურისთვის ამერიკის კუთხის გახსნა?**

–თავდაპირველად ძალიან მნიშვნელოვანი იყო ამ ცენტრის გახსნა ხაშურში, რადგან ადამიანებს არ ჰქონდათ ინტერნეტზე თავისუფალი წვდომის შესაძლებლობა. თავდაპირველი რესურსები იყო წიგნები, რითაც შესაძლებელი გახდა ინფორმაცია მიეღოთ ამერიკის შესახებ, ცხოვრების წესის, კულტურის. ეს იყო ერთ-ერთი კარგი საშუალება, რომ ორი ქვეყნის მოქალაქეებს გაეცნოთ ერთმანეთი პოლიტიკის გარეშე. ამიტომ თავდაპირველად წარმოდგენილი იყო წიგნები, რომლებიც კულტურას, სპორტს, ხელოვნებას და სხვა სფეროებს მოიცავდა, ეს აძლევდა საშუალებას დაინტერესებულ ადამიანს, მეტი გაეგო ამერიკის

**–თანამშრომლები ქართველები არიან?**

–ამერიკის კუთხე ყოველთვის ქართველი თანამშრომლებით იყო დაკომპლექტებული, თუ არ ჩავთვლით მშვიდობის კორპუსის წარმომადგენელს, რომელიც მეორე წელია ჩვენთანაა. აუცილებელ პირობას ინოვაციური ხედვა და ინგლისურის გარკვეულ დონეზე ფლობა წარმოადგენდა. ყოველწლიურად ხდება სტაჟირება როგორც საქართველოში, ასევე სხვადასხვა ქვეყნებში, რაც იძლევა იმის გარანტიას, რომ ამერიკის კუთხე სულ განახლებადი იყოს ახალი პროექტებითა და იდეებით, რის შესაძლებლობაც ამერიკის საელჩო ნამდვილად გვაძლევს.

**–ამერიკის კუთხე აშხალებს სხვადასხვა პროექტებს მოსწავლეებისათვის, ერთ-ერთი მნიშ-**

**11 წლიანი ქართულ-ამერიკული ურთიერთობები**

**ვნელოვანი ჩვენი ქვეყნისათვის fleqs გაცვლით პროგრამაში ნარმაცვებული მონაწილეობაა. რამდენადაც ვიცი, ამერიკის კუთხე ეხმარება ბავშვებს ამ პროექტში მონაწილეობას.**

–ჩვენი კუთხე დიდ სტიმულს და გარკვეულ მომზადებას აძლევს ბავშვებს fleqs გაცვლით პროგრამაში მონაწილეობისათვის, გარდა იმისა რომ იძლევიან ინგლისურის დონეს. გარკვეული ცნობიერებით და მსოფლმხედველობით მოემზადნენ იმისთვის, რომ სხვა ქვეყნის გაცვლით პროგრამაში მიიღონ მონაწილეობა და გამოცდილება წამოიღონ საქართველოში. ჩვენი პროექტები ხელს უწყობს გარკვეული ლიდერული პოტენციალის გამოვლენას, საკუთარი თავის რეალიზებას, შესაძლებლობების შეცნობას.

წელს 4 ბავშვია ფლექსის პროგრამით ამერიკაში, რაც მნიშვნელოვანი წარმატებაა პატარა ქალაქისათვის. აუცილებელია ინგლისურის რაღაც დონეზე ფლობა, მაგრამ ეს არაა მთავარი კრიტერიუმი, მთავარი არის ლიდერის პოტენციალი დაინახონ.

გარდა ამისა, არის გაცვლითი პროგრამები მასწავლებლებისთვის, სტუდენტებისთვის, მაგისტრანტებისთვის, მეცნიერებისთვის და სხვა პროფესიული ჯგუფებისთვის, რომელშიც მთავარია ნებისმიერი პროფესიის ადამიანები. არის ჟურნალისტიკის განვითარებისთვის კონკრეტული პროგრამები, რომელიც სტაჟირებას და კონკრეტული ნოვატორული იდეის ფინანსურ მხარდაჭერას გულისხმობს.

**–მოსწავლეებისთვის რა პროექტები ხორციელდება ამჟამად?**

–ძალიან მრავალფეროვანი პროგრამები გვაქვს, რომელიც ზოგი ჩვენგან წამოსული, ზოგი მათგან შემოთავაზებული იდეის შემდეგ ხორციელდება. მხარდაჭერილია ამერიკის საელჩოსგან. უმეტესად, სამიზნე ჯგუფი მაინც მოსწავლეები და სტუდენტები არიან. მოთხოვნილება ჩვენს პროგრამებში ჩართვის არის უფრო მეტი, ვიდრე სივრცე გვაქვს, რომელიც დიდიდან სადამომდე დაკავებულია სხვადასხვა პროგრამებით. გარდა იმისა, არსებობს უფრო აქტიური პერიოდები, ზაფხულშიც გვაქვს საზაფხულო სკოლები, ბანაკები. სულ ვეუბნები ბავშვებს, მთავარია გადალახოთ კომფორტის ზონა და შეძლოთ ახალი გამოწვევების წინაშე დგომა, ეს რა ფორმით იქნება, ლექციის, პრეზენტაციის ფორმით, არ აქვს მნიშვნელობა. ეს იქნება კარგი მაგალითი სხვისთვის და სხვისი მაგალითებით, შეიძლება ძალიან ბევრი რაღაცის სწავლა.

**–ხაშურის ამერიკის კუთხის კიდევ ერთი ნოვატორია მშვიდობის კორპუსის წარმომადგენელთან თანამშრომლობაა, რამდენად მნიშვნელოვანია**

**ეს, რა შეცვალა ამერიკის კუთხის მუშაობაში?**

–ყველაზე კარგი, რაც იყო ხაშურის რეალობაში, რომლის პრეცედენტი მანამდე არ ყოფილა არსად, მოვიწვიეთ მშვიდობის კორპუსის წევრი პატრიკ ტითმენი, ეს არის ძალიან დიდი შენაძენი ჩვენთვის, ის, რის გაკეთებასაც საკუთარი ძალებით ვცდილობდით, ეს ადამიანი უკვე მზა, დიდი ამერიკული გამოცდილებით, პროგრამებით, ხედვებით მოვიდა ჩვენთან და ჩერთო ყველა პროექტში, ინიცირებაც გაუკეთა ბევრ პროექტს. ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც პატრიკთან ერთად განვახორციელეთ, იყო კლუბი "ისწავლე, ასწავლე", ეს არ არის მხოლოდ სწავლება, მოსწავლეები შემდგომ თავიანთ ცოდნას და გამოცდილებას, თანატოლებში ავრცელებენ. მუშაობენ ბევრ თემებზე, როგორცაა ქალთა უფლებები, ჯანმრთელი ცხოვრების წესი, საჯარო გამოსვლის ხელოვნება, ლიდერთა თვისებებზე, ჯანსაღი კრიტიკის კულტურა, დებატების ხელოვნება. სწავლობენ პროექტების წერას, პრეზენტაციების მოწოდებას. ძალიან ბევრმა ბავშვმა თავის თავში სხვა უნარები აღმოაჩინა და განავითარა. კლუბის "ისწავლე, ასწავლე", ერთგვარი წახალისება იყო საზაფხულო ბანაკი, რომელიც მშვიდობის კორპუსის, ბიბლიოთეკის და ადგილობრივი ხელისუფლების მხარდაჭერით მოეწყო. 4 დღიანი ბანაკი იყო, სადაც ბავშვებმა დიდი გამოცდილება მიიღეს, ისწავლეს ტრენინგების ჩატარების ხელოვნება. ყველაზე მთავარი იყო ჯანსაღი კომუნიკაცია, რომელიც დღემდე გრძელდება და ის ბავშვები მომავალ წელს უკვე ტრენერები იქნებიან ახალი ჯგუფისთვის. გარდა იმისა, რომ პატრიკი იყო მთავარი ავტორი ამ პროექტისა, მან ტრენერებად მოიწვია თავისი ამერიკელი მეგობრები, სხვა ქალაქში განაწილებული მშვიდობის კორპუსელები.

**–ხაშურის ამერიკის კუთხეში თუნქიონი-რებს საბავშვო ბაღი, რომელის გახსნაც, ასევე თქვენი იდეაა...**

–მიხარია, რომ პირველი იდეა საბავშვო ბაღის გახსნის ხაშურის ამერიკის კუთხეში გაჩნდა. იმის გამო, რომ სხვადასხვა კატეგორიის მომხმარებლები მოდიოდნენ და ერთ სივრცეში პროგრამების განხორციელება ერთგვარს სიმნელეს წარმოადგენდა. იდეა წარვადგინე ამერიკის საელჩოში, ძალიან მოეწონათ და მოგვცეს უფლება გაგვეკეთებინა საბავშვო ბაღი. იდეით სხვა ქალაქის ამერიკის კუთხეების წარმომადგენლებიც დაინტერესდნენ. აქ ბავშვებს დიდიდან სადამომდე შეუძლიათ იყვნენ და ისარგებლონ მათთვის ასაკობრივად განკუთვნილი პროგრამებით. ეს არის იგივე ამერიკის კუთხე, ოღონდ ბავშვებისთვის. საბავშვო ბაღის და მშვიდობის კორპუსის წარმომადგენლთან თანამშრომლობა ხაშურის კუთხის ინოვაციაა, რომელიც მოიწონეს და განხორციელეს ამერიკის სხვა კუთხეებშიც. იმის გამო, რომ პატარა ვართ, არ მცირდება ჩვენი როლი,



შესახებ. ამჟამად მოქმედებს სპიკერთა პროგრამა, ჩამოდის ამერიკის ჩვეულებრივი მოქალაქე და საუბრობს იმ ცხოვრების წესზე, რომლითაც ცხოვრობს ქვეყანა. ჩვეულებრივ დონეზე ურთიერთობის აწეობა იყო ძირითადად ამ კუთხის დაარსების მიზანი. ამერიკის კუთხეში დიდი როლი შეასრულა ბევრი ახალგაზრდის წარმატებაში.

**–რას სსკვობრივ ჯგუფებს გათვლილი და რა არის მთავარი ორიენტირები?**

–ამერიკის კუთხის მომხმარებელი ყველა ასაკობრივი ჯგუფია. ასე, რომ, მთელი ამ ხნის მანძილზე სხვადასხვა პროგრამების და პროექტების სამიზნე ჯგუფი თითქმის ყველა კატეგორია იყო, მთელი ამ წლების მანძილზე. უბრალოდ, კონკრეტული პროგრამა კონკრეტულ მიზნობრივ ჯგუფს უწყობდა ხელს, ეს იყო სოც. ინტეგრაცია, მზრუნველობა მოკლებული ბავშვების ინტეგრაცია საზოგადოებასთან, სამოქალაქო განათლება, ინგლისური ენის გაძლიერება, რა გამოწვევების წინაშეც იდეა მაშინდელი საზოგადოებრიობა, ყველა ჩვენი პროგრამა პასუხობდა და ხელს უწყობდა. ფინანსური მხარდაჭერა არის ამერიკის საელჩოსგან და პარტნიორი ორგანიზაცია, უზრუნველყოფს სივრცით და კომუნალური საკითხებით. ამერიკის კუთხე არის ნიშნულში და კონცეფცია, თუ როგორ უნდა იმუშაოს თანამედროვე ბიბლიოთეკამ ყველა ასპექტში. ამერიკის კუთხეებში ყველა ინოვაციურ ტექნოლოგიებს ნახავთ, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს ადამიანის განვითარებას და თვითრეალიზაციას. გარდა იმისა, რომ ჩვენ ვკარნახობთ გარკვეულ პროექტებს და პროგრამებს, ყველა ადამიანს აქვს თავისი იდეის რეალიზაციის შესაძლებლობა.

**–თავდაპირველად რა პროგრამები ხორციელდებოდა, რადგან ეს ნოვატორია იყო, რითი დაიხსნა?**

–ეს არა იყო მხოლოდ ენის გაძლიერებისთვის არსებული პროგრამები, აქ ყველა დონის მიხედვით სხვადასხვა თემებზე ტარდებოდა. ფუნქციონირებდა და დღემდე ფუნქციონირებს ძალიან ბევრი კლუბი, რომლებიც ასაკობრივად დიფერენცირდება ინტერესებიდან გამომდინარე. 10 წლის წინ დავაარსეთ ჯაზის კლუბი, რომელიც ინოვაციური იყო, დიდი მოწონება დაიმსახურა. იყო ინტეგრაციის კლუბი, ლიდერთა კლუბი, თინეიჯერთა კლუბი. იმ ეტაპზე ინტერნეტზე თავისუფალი წვდომა, უფასო წიგნები, ჟურნალები,



პირიქით, სხვა ქალაქებს მეტი შესაძლებლობები აქვთ, რომ ახალგაზრდებმა გამოხატონ საკუთარი თავი, ამერიკის კუთხეში ყველაზე დიდი როლი ითამაშა ხაშურში, რადგან ასეთი საჯარო და თავისუფალი სივრცე არაფორმალური, სკოლის გარეშე განათლებისთვის, თითქმის არ არსებობს. ყოველთვის ვცდილობთ, რომ ურთიერთობაში სამართლიანობის პრინციპი დაცული იყოს. ყველა იღებს იმის შესაბამის შეფასებას, რასაც აკეთებენ, თუ გინდა მეტი, უნდა გააკეთო მეტი!

თ. ჯავახიძე





30 ნოემბერს, საქალაქო კულტურის ცენტრში, გაიმართა სპექტაკლის პრემიერა „სიყვარული იმერულად“.

„სიყვარული იმერულად“ - სპექტაკლი, რომლის პრემიერამ ოვაციებით ჩაიარა

ვილად მომგებიანი აღმოჩნდა, მაყურებლის ტაში და ოვაცია კი - გულწრფელი. სპექტაკლის დასრულების შემდეგ ბატონმა გია ბოლოკაძემ სიმბოლურად ახალგაზრდული თეატრალური დასის მსახიობების მოწმობები გადასცა სპექტაკლში მონაწილე ბავშვებს.



ერები არიან! უცხო თვალის ადვილად შეამჩნევდა, რომ დასი ერთ გუნდად იყო შეკრული და მათ ბევრი იშრომეს ღირსეული შედეგისთვის.

მაშენ. ბავშვებთან მუშაობა, თავის მხრივ, რთული იყო. ორგანიზება უჭირდათ, იყო გაცდენებიც, ჩავარდნებიც, მაგრამ ასეთ შედეგს ნამდვილად არ მოველოდი - ბავშვებმა ნამდვილად იყოჩაღეს.

შემოდგომის ზეიმი IV საჯარო სკოლაში



კიდევ ერთმა შემოდგომამ აითვალა თავისი ოქროსფერი არსებობის დღეები, გაგაფურადა, სახლები დოვლათით აგვიფსო, თავისივე მოქსოვილი, მზუნხასხლებული ფოთლების ღაბაღა მოიხურა და ქვაბზე მიმწვარი თათარის სუნიც გაიყოლა...

ჩვენს ცვივის უმეობა ჰქვია

იმ დღეს შენგულად ღაღბლი, ენაშვილი, ენამხვილობდი, გვეფერებოდი, გვაიმედებდი. ჩქარობდი, ჩქარობდი, რადგანაც სამსახურში შესვენების დროს ჩვენთვის მცირე იმპროვიზირებული კონცერტი გაიმართა...



D



















ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი გიორგი გოგალაძე,  
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.

E-mail [Khashurismoambe 2015@gmail.com](mailto:Khashurismoambe 2015@gmail.com) საბანკო რეკვიზიტები: სს „ლიბერთი ბანკის“ ხაშურის ფილიალი, საიდენტი-  
ფიკაციო კოდი 443860984, ბანკის კოდი LBRTGE22, ანგარიში GE80LB0115114434590001.

ℙ-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.